

საქართველოს რაგბის კავშირის გამგეობის სხდომა

2021 წლის 29 ნოემბერი | სასტუმრო „თბილისი მარიოტი“, მირიან მეფის დარბაზი

ოქმი

ესწრებოდნენ:

გამგეობის წევრები:

- ალექსანდრე ხვედელიძე (დაბადებული 21.10.1965 წ., პირადი №01014002287)
- გივი ჭიჭინაძე (დაბადებული 02.07.1959; პირადი №01009002077)
- დავით კაჭარავა (დაბადებული 06.09.1975 წ.; პირადი №01035000140)
- ზვიად თავართქილაძე (დაბადებული; პირადი №01029001924)
- გრიგოლ ქერაშვილი (დაბადებული 16.03.1956 წ.; პირადი №35001058678)
- მერაბ ანთაძე (დაბადებული 04.08.1952 წ., პირადი № 01005001907)
- იოსებ ტყემალაძე (დაბადებული 25.12.1976 წ., პირადი № 01024009582)
- კობა გიორგაძე (დაბადებული 26.10.1979 წ.; პირადი № 60001009009)
- მამუკა გორგოძე (დაბადებული 14.07.1984 წ., პირადი № 01031003677)
- გიორგი კობახიძე (დაბადებული 23.11.1953 წ., პირადი №01011021299)

სხდომის მომწვევი: სრკ-ს პრეზიდენტი, იოსებ ტყემალაძე

სხდომის თავმჯდომარე: დავით კაჭარავა

სხდომის მდივანი: ნატალია კურტანიძე

სხდომაზე დამსწრე სხვა პირები: სრკ-ს ვიცე-პრეზიდენტები ლაშა ხურციძე, ნიკოლოზ ალავეძე და თორნიკე გოგებაშვილი, იურისტი ედუარდ ნაჭყებია, სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე მირიან თავზარაშვილი, კლუბ „ტაოს“ პრეზიდენტი ირაკლი გვენეტაძე, დეველოპერი ლევან ხაზალია.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგში შევამალი შემდეგი საკითხები:

1. სრკ-ის ნამდვილ წევრთა სიისა და მათი პრემიალური ხმების დამტკიცება;
2. ყოველწლიური საანგარიშო საერთო კრების (ყრილობის) დროის, თარიღის, ადგილის განსაზღვრა;
3. საერთო კრების (ყრილობის) დღის წესრიგის განსაზღვრა, საერთო კრების რეგლამენტის და საერთო კრების სამდივნოს დატკიცება;
4. ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის დამტკიცება და სამწვრთნელო შტაბის წარდგენა;
5. ეროვნულ ნაკრებებში შესარჩევი შეკრების და/ან სათამაშო პერიოდში, კავშირის მიერ შერჩეული მოთამაშეების გათავისუფლების შესახებ დებულების დამტკიცება.
6. სადისციპლინო დებულების კორექტირება;

7. ინფორმაციის სახით:

- სრკ-ს ახალი სტრუქტურის გაცნობა;
- ქცევის კოდექსი;
- საქართველოს მასშტაბით ბავშვთა რაოდენობა, ინფრასტრუქტურა და კლუბების დაფინანსება (სტატისტიკა);
- ხაზაღიას საკითხი;
- კლუბ „ტაოს“ საქმიანობა / ე.წ. „მთის კლუბის“ მოდელი

სხდომამ გადაწყვიტა:

1. პირველ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა სრკ-ს ნამდვილ წევრთა სიისა და მათი პრემიალური ხმების დამტკიცებას, გამგეობის წევრებმა შეისწავლეს წარმოდგენილი სია და ერთხმად მიიღეს შემდეგი გადაწყვეტილება:

ა) ნამდვილ წევრთა სია და მათი პრემიალური ხმები დამტკიცდეს წარმოდგენილი დანართი #1-ის სახით. ამასთანავე, კლუბებს (გუნდებს) რომლებსაც შესაძლოა გაუჩნდეთ პრეტენზია გამგეობის მიერ დამტკიცებულ ნამდვილ წევრთა სიასთან და მათი პრემიალური ხმების რაოდენობასთან დაკავშირებით, უფლება აქვთ 2021 წლის 10 დეკემბრის 16:00 სთ ჩათვლით სრკ-ს კანცელარიაში და/ან ელექტორულ ფოსტაზე წარმოადგინონ თავისი დასაბუთებული წერილობითი განცხადება, რომლის გადამოწმებისა და დადასტურებულად მიჩნევის შემთხვევაში, სრკ-ს მიერ მოხდება ნამდვილ წევრთა სიისა და ხმათა რაოდენობის კორექტირება.

2. მეორე საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა ყოველწლიური საანგარიშო საერთო კრების (ყრილობის) დროის, თარიღის, ადგილის განსაზღვრას, გამგეობის წევრებმა ერთხმად გადაწყვიტეს:

- ა) კავშირის მორიგი ყოველწლიური საანგარიშო კრების (ყრილობის) ჩატარების ადგილად განისაზღვროს სასტუმრო „თბილისი მარიოტის“ წვეულებათა დარბაზი; საანგარიშო კრება (ყრილობა) გაიმართოს 2021 წლის 24 დეკემბერს; რეგისტრაცია: 12:00-დან 12:45-მდე; კრების დასაწყისი - 13:00 საათი;
- ბ) კოვიდ-პანდემიის გათვალისწინებით, საერთო კრებაზე (ყრილობაზე) დაესწრების უფლება მიენიჭოს ნამდვილი წევრის (დელეგატის) ერთ უფლებამოსილ პირს ან უფლებამოსილი პირის წარმომადგენელს, რომელმაც თან უნდა იქონიოს სათანადო წესით დამოწმებული მინდობილობა.

3. მესამე საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა საანგარიშო კრების (ყრილობის) დღის წესრიგის განსაზღვრას, საერთო კრების რეგლამენტის და საერთო კრების სამდივნოს დატკიცებას, გამგეობის წევრებმა ერთხმად გადაწყვიტეს:

ა) საერთო კრების (ყრილობის) დღის წესრიგი განისაზღვროს შემდეგნაირად:

- სრკ-ს პრეზიდენტის ანგარიში;
- სრკ-ს 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის წარდგენა;
- სრკ-ს 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცება;
- საერთო კრების ინფორმირება სრკ-ს გამგეობის მიერ აჭარის რაგბის ფილიალის საქმიანობის განახლების (აღდგენის) შესახებ გადაწყვეტილების თაობაზე.

ბ) სრკ-ს 2021 წლის 24 დეკემბრის საერთო კრების რეგლამენტი დამტკიცდეს წარმოდგენილი დანართი #2-ის სახით

გ) სრკ-ის 2021 წლის 24 დეკემბრის საერთო კრების სამდივნო დამტკიცდეს შემდეგი შემადგენლობით: ედუარდ ნაჭყებია (პ/ნ: 01010015003), ნინო ფერაძე (პ/ნ: 01006005962) და ია ხურცილავა (პ/ნ: 010130002510).

გამგეობის წევრმა ალექსანდრე ხვედელიძემ შემოიტანა შემოთავაზება, რომ საანგარიშო ყრილობის დროს მოხდეს ღვაწლმოსილი ვეტერანი მორაგბეების დასაჩუქრება. გამგეობის წევრებმა აღნიშნული შემოთავაზება მოიწონეს.

4. მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის დამტკიცება და სამწვრთნელო შტაბის წარდგენას, გამგეობის წევრებმა მოისმინეს სრკ-ს ვიცე-პრეზიდენტის ლაშა ხურციდის პრეზენტაცია და გაუზიარეს ერთმანეთს მოსაზრებები სამწვრთნელო გუნდის შესახებ. სამწვრთნელო შტაბის საქმიანობის საერთო შეფასება იყო დადებითი, თუმცა გამგეობის წევრებმა იმსჯელეს სამწვრთნელო გუნდის და მენეჯმენტის კვალიფიკაციის, დაკომპლექტების პრინციპის და უცხოელი მწვრთნელების ხარჯზე არსებული გუნდის გამყარების ან ჩანაცვლების (და ამასთან დაკავშირებული რისკების და შეზღუდვების) შესახებ, სამწვრთნელო შტაბის და მენეჯმენტის გუნდის წევრებთან გასაფორმებელი ხელშეკრულებების ვადაზე და მართვის პრინციპებზე (სტრატეგიული მიზნების, მინიმალური და მაქსიმალური შესრულების ინდიკატორების დაწესება; ანგარიშვალდებულების პროცესის შემუშავება, სისტემური მიდგომის დანერგვა), მაღალი მიღწევების სპეციალისტთა შორის კონკურენციის გაჩენის საჭიროებაზე (მაგ. „შავი ლომის“ გამოყენება ადგილობრივი სპეციალისტების აღზრდის პლატფორმად). მსჯელობის პროცესში გაჩენილი დამატებითი კითხვების გამო, მათ სამწვრთნელო შტაბის დამტკიცებისგან თავი შეიკავეს და, გიორგი კობახიძის შემოთავაზებით, ერთხმად მიიღეს შემდეგი გადაწყვეტილება:

ა) ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბის და მენეჯმენტის დამტკიცება მოხდეს გამგეობის დამატებით სხდომაზე, სადაც მოწვეული იქნება ნაკრების მთავარი მწვრთნელი ლევან მაისაშვილი (გამგეობის სხდომის საორიენტაციო თარიღი: 12 ან 13 დეკემბერი).

ბ) ლევან მაისაშვილს დაევალოს გამგეობისთვის სამწვრთნელო შტაბის მიზნების და ამოცანების წარდგენა და სამწვრთნელო შტაბის / მენეჯმენტის თითოეული წევრის როლის განმარტება.

5. მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა ეროვნულ ნაკრებებში შესარჩევი შეკრების და/ან სათამაშო პერიოდში, კავშირის მიერ შერჩეული მოთამაშეების გათავისუფლების შესახებ დებულების დამტკიცებას, სრკ-ს იურისტმა ედუარდ ნაჭყებიაშვილმა განუმარტა გამგეობას, რომ აღნიშნული დებულების საჭიროება გამოწვეულია ნაკრებებში მოთამაშეთა გამოძახების პრინციპების დაურეგულირებლობით, რაც, ერთის მხრივ, ერთის მხრივ, იწვევს გადაწყვეტთაშეშეშე საუკეთესო სპორტსმენების გარეშე დარჩენილი კლუბების უკმაყოფილებას, ხოლო მეორეს მხრივ ართულებს ნაკრებების მზადების პროცესს. გამგეობის წევრებმა ერთხმად მიიღეს შემდეგი გადაწყვეტილება:

ა) დამტკიცდეს ეროვნულ ნაკრებებში შესარჩევი შეკრების და/ან სათამაშო პერიოდში, კავშირის მიერ შერჩეული მოთამაშეების გათავისუფლების შესახებ დებულება შემოთავაზებული რედაქციით, იმ დათქმით, რომ 2022 წლის 20 იანვრამდე სრკ-ს შესაბამისმა სამსახურებმა ნაკრებების მენეჯმენტთან და კლუბებთან კონსულტაციების საფუძველზე შეიმუშავონ და წარმოადგინონ ნაკრებში მოთამაშეთა გამოძახების წესი, პროცედურა და დასაშვები სიხშირე. სამომავლოდ გამოითქვას მოსაზრება, რომ აღირიცხოს ამა თუ იმ კლუბიდან მორაგბეების გამოძახების სიხშირე; ასევე შესაძლოა, რომ გამოძახებულ მოთამაშეთა ჯამური ოდენობა აისახოს კლუბის ვარსკვლავების რაოდენობაზე.

6. მეექვსე საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა სადისციპლინო დებულების კორექტირებას და სადისციპლინო დებულების მე-7 დანართის დამტკიცებას, სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარემ მირიან თავზარაშვილმა განუმარტა გამგეობის წევრებს, რომ სადისციპლინო დებულებაში შესატანი კორექტივების აუცილებლობა გამოწვეულია აპელაციების პროცესის უფრო ეფექტური მართვის საჭიროებით, ხოლო დებულების მე-7 დანართი განსაზღვრავს დისციპლინარულ პროცედურებს წითელი ბარათის და საითინგის დროს. გამგეობის წევრებმა ერთხმად გადაწყვიტეს:

ა) დამტკიცდეს სადისციპლინო დებულების ახალი რედაქცია წარმოდგენილი სახით.

7. სხდომის დღის წესრიგის მეშვიდე საკითხად გათვალისწინებული იყო საინფორმაციო განახლებები რიგ საკითხთან დაკავშირებით:

- სრკ-ს ახალი სტრუქტურის გაცნობა - კავშირის პრეზიდენტმა იოსებ ტყემალაძემ მოახსენა გამგეობის წევრებს მიმდინარე რეორგანიზაციის პროცესის შესახებ და დაასახელა ახალ სტრუქტურაში ხელმძღვანელ პოზიციებზე მოაზრებული თანამშრომლები.
- ქცევის კოდექსი - გამგეობის წევრებს მიეწოდათ ქცევის კოდექსის სამუშაო მასალა; ითქვა, რომ ქცევის კოდექსზე მუშაობა გაგრძელდება სრკ-ს გამგეობის წევრის მერაბ ანთაძის, ვეტერანი მორაგბეების, სრკ-ს ბავშვთა რაგბის მენეჯერის და კეთილდღეობის მენეჯერის მონაწილეობით.

- საქართველოს მასშტაბით ბავშვთა რაოდენობა, ინფრასტრუქტურა და კლუბების დაფინანსება (სტატისტიკა) - გამგეობის წევრებმა შეისწავლეს წარმოდგენილი სტატისტიკური ინფორმაცია და იმსჯელეს, ერთის მხრივ, კლუბების დაფინანსებაზე და, მეორეს მხრივ არსებულ მონაცემთა შეგროვების და მორაგბეთა აღრიცხვის სისტემაზე; გამგეობის იმ წევრებმა, რომლებიც სარაგბო კლუბებს წარმოადგენენ, გამოთქვეს მზაობა ხელი შეუწყონ საქართველოს რაგბის კავშირსა და იმ მუნიციპალიტეტებს შორის ურთიერთობის გამყარებას, რომლებიც კლუბებს აფინანსებენ (მაგ., წლიური დაფინანსების შესახებ მემორანდუმების სამმხრივად, სრკ-ს მონაწილეობით გაფორმება), ვინაიდან ეს ხელს შეუწყობს გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მონიტორინგს. ასევე გამოითქვა მოსაზრება, რომ რეგისტრირებულ მოთამაშეთა რაოდენობა საგრძნობლად დაბალია კლუბებში მოვარჯიშე სპორტსმენების რაოდენობაზე. სრკ-ს შესაბამის სამსახურებს დაევალებათ კლუბებისგან იმ მოთამაშეებზე ინფორმაციის მოპოვება, რომლებიც არ არიან რეგისტრირებულები შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის ტურნირებში. ამასთანავე, სრკ-ს ვიცე-პრეზიდენტს თორნიკე გოგებაშვილს და რეგიონალური განვითარების მენეჯერს გაიოზ მონიავას დაევალებათ სრკ-ს რეგიონალური განვითარების პოლიტიკის მოდელების მომზადება და სრკ-ს პრეზიდენტთან ერთად მათი დამუშავება.

სრკ-ს ვიცე-პრეზიდენტმა თორნიკე გოგებაშვილმა ითხოვა შემდეგ გამგეობის სხდომაზე ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა.

- ლევან ხაზალიას საკითხი - იგეგმებოდა, რომ ლევან ხაზალიას საკითხთან დაკავშირებით დამატებით განმარტებას წარუდგენდა გამგეობას ლაშა ხურციძე, მაგრამ ვინაიდან ლევან ხაზალია თავად მოვიდა გამგეობის წევრებთან გასასაუბრებლად, არსებული პრობლემის და საქართველოს რაგბის კავშირთან არსებული გარიგების არსის განმარტება სთხოვეს მასვე. ლევან ხაზალიამ მოახსენა გამგეობის წევრებს გარიგების გარემოებათა შესახებ და გააჟღერა თავისი მოთხოვნა:

- მოხდეს საქართველოს რაგბის კავშირისთვის გადახდილი თანხის იმ ნაწილის, რომელზეც არსებობს დოკუმენტაცია, გადაფასებას აშშ დოლარის მსყიდველუნარიანობის გათვალისწინებით
- მოხდეს აღნიშნული თანხის გადაფასებული ოდენობის დაბრუნება, ან
- აღნიშნული თანხის გადაფასებული ოდენობის სანაცვლოდ ლევან ხაზალიას გამოეყოს 200-250 კვადრატული მეტრი მზიურის ტერიტორიაზე „ანაგის“ მშენებარე კომპლექსში.

საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა იოსებ ტყემალაძემ ითხოვა დამატებითი დრო აღნიშნული მოთხოვნის შესაფასებლად და სრკ-ს იურიდიულ სამსახურთან მის განსახილველად.

- კლუბ „ტაოს“ საქმიანობა / ე.წ. „მთის კლუბის“ მოდელი - პრეზენტაცია კლუბ „ტაოს“ შესახებ წარმოადგინა კლუბის პრეზიდენტმა ირაკლი გვენეტაძემ. მან ისაუბრა კლუბის ისტორიაზე, სადამფუძნებლო სტრუქტურაზე, მიღწევებზე და გამოწვევებზე. სრკ-ს პრეზიდენტმა იოსებ ტყემალაძემ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი რეგიონალური განვითარების პოლიტიკის შემუშავების მნიშვნელობას.
- გამგეობის წევრმა გრიგოლ ქერაშვილმა აცნობა დამსწრეებს, რომ ქალაქის ხელისუფლებასთან შეთანხმების საფუძველზე, რუსთავის სარაგბო სტადიონს დაერქვა „რუსთავის ხარები არენა“

დანართები:

დანართი #1: სრკ-ს ნამდვილ წევრთა სია და მათი პრემიალური ხმები;

დანართი #2: სრკ-ის 2021 წლის 24 დეკემბრის საერთო კრების რეგლამენტი

დანართი #3: დებულება ეროვნულ ნაკრებებში შესარჩევი შეკრების და/ან სათამაშო პერიოდში, კავშირის მიერ შერჩეული მოთამაშეების გათავისუფლების შესახებ

დანართი #4: სადისციპლინო დებულება (ახალი რედაქცია); სადისციპლინო დებულების დანართი #7